

პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება

„საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის შესახებ“

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე **უსაფრთხოების** დაცვის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების მიზნები

წესის დამტკიცების მიზნებია:

- პარლამენტის სასახლის ტერიტორიაზე **სამუშაო და უსაფრთხო გარემოს** უზრუნველყოფა.
- შენობაში მყოფი პირების, შენობის და მასში განთავსებული ნივთების ფიზიკური საფრთხისგან დაცვა.

ბრძანება აწესრიგებს უსაფრთხოების შემდეგ სფეროებს:

- ადგენს პარალმენტის **სასახლეში შესვლის წესსა** და განსაზღვრავს შესვლის უფლების მქონე პირებს.
- ადგენს პარლამენტის სასახლეში შესასვლელი **საშვის დაშვების** პირობებსა და დაშვების უფლების მქონე პირებს.
- ადგენს პარლამენტის სასახლეში **ვიზიტორთა ქცევის წესს** და დარღვევისათვის აწესებს პრევენციულ ღონისძიებებს.
- ადგენს **უსაფრთხოების დონეებს** მოსალოდნელი საფრთხის სპეციფიკიდან გამომდინარე.
- განსაზღვრავს პარლამენტის **პლენარულ დარბაზში შესვლის** და სხდომაზე დასწრების პირობებს.

ბრძანება ეფუძნება ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტების საუკეთესო გამოცდილებასა და პრაქტიკას.

პარლამენტის სასახლის ვიზიტორის საშვი

ვინ არის პარლამენტის სასახლის ვიზიტორი?

პარლამენტის სასახლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი რომელიც არ არის პარლამენტის წევრი ან პარლამენტის აპარატის თანამშრომელი.

რა ტიპის ვიზიტორის საშვი გაიცემა საქართველოს პარლამენტში?

- საპარლამენტო/სპეციალური აკრედიტაციის მქონე **ჟურნალისტის** საშვი.
- მრავალჯერადი გამოყენების ვიზიტორის საშვი (**ერთ წლამდე** ვადით).
- ვიზიტორის **ერთჯერადი** საშვი.
- საპარლამენტო **ექსკურსიის** საშვი.

ერთჯერადი ვიზიტორის საშვის გაცემის უფლება ვის აქვს და რა პირობებით?

ერთჯერადი საშვის გაცემა შეუძლია პარლამენტის წევრებს და საამისოდ უფლებამოსილ პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს.

საშვის დამშვები ვალდებულია საშვის დაშვებისას მიუთითოს ვიზიტორის პარლამენტის სასახლეში შემოსვლის **მიზნობრიობა**.

რა იგულისხმება პარლამენტის სასახლეში ერთჯერადი ვიზიტის მიზნობრიობაში?

ვიზიტორის პარლამენტის სასახლეში შემოსვლის მიზნობრიობა შეიძლება იყოს, **შეხვედრა** (საშვის დამშვებთან, მის ხელმძღვანელთან ან მისი სტრუქტურული ერთეულის რომელიმე თანამშრომელთან) ან ღონისძიებაში მონაწილეობა.

ღონისძიებაში მონაწილეობისთვის საშვის დაშვებაზე უფლებამოსილია ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან პირი.

პარლამენტის სასახლეში შესვლის წესი

როგორ ხდება პარლამენტის სასახლეში შესვლა?

საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლა შესაძლებელია შესაბამისი მოწმობის წარდგენისა და მეტალოდეტექტორით შემოწმების შემდეგ.

რა ნივთების შეტანა არის აკრძალული პარლამენტის სასახლეში აპარატის ნებართვის გარეშე?

დაუშვებელია პარლამენტის სასახლეში, პარლამენტის აპარატის ნებართვის გარეშე, სადემონსტრაციოდ განკუთვნილი ნივთების, მათ შორის, ბანერებისა და პოსტერების, ასევე ხმის გამაძლიერებელი და ხმოვანი სიგნალის მოწყობილობების შეტანა.

რა ნივთების შეტანა არის აკრძალული პარლამენტის სასახლეში?

აკრძალულია საქართველოს პარლამენტის სასახლეში ცეცხლსასროლი იარაღის, ცივი იარაღის, ასაფეთქებელი საშუალების, ფეთქებადსაშიში ნივთიერებების და სხვა ისეთი ნივთების ან ნივთიერების შეტანა, რომლითაც შესაძლოა დაირღვეს საქართველოს პარლამენტის სამუშაო გარემო და წესრიგი, ან საფრთხე შეუქმნას პარლამენტის სასახლეში მყოფ პირებს. ასევე აკრძალულია პარლამენტის სასახლეში ცხოველების შეყვანა.

ვის აქვს პარლამენტის სასახლეში იარაღის შეტანის უფლება და რა წესი მოქმედებს იმ პირთა მიმართ რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით აქვთ იარაღის ტარების უფლება?

პარლამენტის სასახლეში იარაღის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ, სახელმწიფო სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფი პირებისა და უცხო ქვეყნების დელეგაციების დაცვის წევრებს, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომლებს.

სხვა პირები მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა კანონმდებლობის საფუძველზე ჰქონდეთ იარაღის ტარების უფლება ვალდებულნი არიან იარაღი ჩააბარონ პარლამენტის დაცვის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს მის შენახვას, შესაბამის შემნახველ საცავში.

ქცევის წესი პარლამენტის ვიზიტორთათვის

- პარლამენტის სასახლის ვიზიტორის ვალდებულია საქართველოს პარლამენტის სასახლეში **დაიცვას სიმშვიდე და წესრიგი**, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქართველოს პარლამენტის საქმიანობას და საქართველოს პარლამენტში მიმდინარე ღონისძიებების მსვლელობას.
- ვიზიტორს ეკრძალება პარლამენტის სასახლის ტერიტორიაზე **ტრანსპარანტების გამოფენა** და საინფორმაციო მასალის დარიგება, ასევე შენობაში სადემონსტრაციო მასალის (პლაკატების, ბანერების, წარწერების და ა.შ.) გაკვრა ან სხვაგვარად განთავსება.
- ვიზიტორს **ეკრძალება** ჟურნალისტებთან კომუნიკაცია პარლამენტის წევრებისათვის **ბრიფინგის ჩასატარებლად განსაზღვრული სივრცეებში**, პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანხმობის გარეშე.
- პარლამენტის სასახლის ვიზიტორი ვალდებულია ატაროს **ჩაცმულობა** სამუშაო გარემოს შესაბამისად.
- ვიზიტორი ვალდებულია **ვიზიტის მიზნის ამოწურვისთანავე**, მაგრამ არაუგვიანეს საშვის მოქმედების დღის 24:00 საათისა, დატოვოს პარლამენტის სასახლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპარლამენტო ღონისძიება, რომელსაც ისინი ესწრებიან, გრძელდება აღნიშნული დროის მიღმა.
- საქართველოს პარლამენტის ვიზიტორები ვალდებულნი არიან **დაემორჩილონ** სახელმწიფო **დაცვის** სპეციალური სამსახურის თანამშრომლის და პარლამენტის **მანდატურის მითითებებს**.

- მანდატური უფლებამოსილია, წესების დარღვევის შემთხვევაში მოსთხოვოს პირს დარღვევის შეწყვეტა, ხოლო მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მოთხოვოს პირს **პარლამენტის სასახლის დატოვება**.
- პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია წესების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს პრევენციულ ღონისძიებას, დარღვევის სიმძიმის და დარღვევის გამეორების რისკის შეფასების საფუძველზე და ვიზიტორს **შეუზღუდოს** პარლამენტის შენობაში შესვლა **ერთ წლამდე ვადით**.

პარლამენტის სასახლეში მოქმედი უსაფრთხოების დონეები

პარლამენტის სასახლეში მოქმედებს **უსაფრთხოების 3 დონე:**

წითელი დონე - ბუნებრივი კატასტროფის, შენობაზე თავდასხმის ან შენობაში მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სხვა მყისიერი საფრთხის არსებობისშემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შეიძლება გამოცხადდეს უსაფრთხოების წითელი დონე, რომლის დროსაც ხორციელდება პარლამენტის სასახლეში მყოფი პირების **ევაკუაცია**. ევაკუაციის დროს პარლამენტი ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დატოვოს შენობა, გარდა აპარატის უფროსის მიერ განსაზღვრული პირებისა, საფრთხის სპეციფიკისა და მისი თავიდან აცილების საჭიროების მიხედვით.

ყვითელი დონე - თუ არსებობს საქართველოს პარლამენტის სასახლეში სამუშაო ან/და უსაფრთხო გარემოს დარღვევის რისკი, შეიძლება გამოცხადდეს უსაფრთხოების ყვითელი დონე. უსაფრთხოების ყვითელი დონის მოქმედების პერიოდში თავმჯდომარის ბრძანებით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდეგი შეზღუდვები ცალ-ცალკე ან ერთმანეთის პარალელურად:

- **შეეზღუდოთ ვიზიტორებს შემოსვლა**. ამ შეზღუდვასთან ერთად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პარლამენტის სასახლეში მყოფი ვიზიტორების მიერ პარლამენტის სასახლის დატოვება.
- პარლამენტის სასახლეში შემოსვლის უფლება მიეცეს **მხოლოდ პარლამენტის აპარატის უფროსის მიერ დაშვებული საშვის** მქონე ვიზიტორებს, რომელთა პარლამენტის სასახლეში შესვლაც აუცილებელია პარლამენტის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის.
- შეიზღუდოს ჟურნალისტის სპეციალური აკრედიტაციის გაცემა ან/და შეიზღუდოს **აკრედიტაციის მქონე ჟურნალისტის** პარლამენტის სასახლეში **შემოსვლა**.
- შეიზღუდოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში **ავტომობილით შემოსვლა** ან/და დგომა.

მწვანე დონე - იმ შემთხვევაში, თუ არ არის გამოცხადებული უსაფრთხოების წითელი ან ყვითელი დონე, მოქმედებს უსაფრთხოების მწვანე დონე, **სპეციალური შეზღუდვების გარეშე**.

პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის **პლენარული სხდომების სივრცე**



პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის **ვიზიტორთა სივრცე**